ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი:**18-01182183119**
თარიღი: **06/08/2018**

ადრესატი:

თეონა ახალაშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური-III-IV კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილება-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 01 აგვისტოს #60-01182133089 წერილი (AR1610902) და თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ მოქალაქე დავით კვარაცხელიას მომართვის საფუძველზე, შპს ,,სოლიდ დეველოპმენტის'' კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, ხიზაბავრის ქუჩა ჩიხი I #7 ს.კ. #01.11.12.018.246) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის თანახმად, ტერიტორიაზე ახალი გამწვანებული სივრცეების მოსაწყობად გასაშენებელი ხე-მცენარეების რაოდენობა (38 ძირი მარადმწვანე პირამიდული კვიპაროსი, 8 ძირი ორნაკვეთიანი გინკო, 5 ძირი წითელი ტყემალი) სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (674.1 კვ.მ), გასამწვანებლად შემოთავაზებული მცენარეები (სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან), შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით, მაგრამ იმისათვის რომ სამსახურმა შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი, განმცხადებელმა დამატებით უნდა წარმოადგინოს გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტებისა და პარამეტრების ამსახველი საინფორმაციო დაფის ესკიზი, რომელიც ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)